კვირა, 20 სექტემბერი

ფასი 10 კაპ.

მათრახი

და სალამური

№ 15

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი

თფილისის ქალაქის საავათმყოფოში.

რაღაც ვაგლახად,
შევიქენ გლახად:
(თავი ამტკივდა და შემახურა!)
დამძაფრა ტანში
და თფილ საბანში
ისე შევძვერი, ვითარცა ტურა.
სიმწრით თავს ვიქექ...
მთელი დღე ვწექ,
მაგრამ სიმშვიდე არ გამეკარა.
გვიან თუ ადრე,
ბოლოს ვიაზრე,
სამკურნალოსკენ შემომეარა.
კიდეც წავედი,
მაგრამ რა?.. ბედი
მუდამ მღალატობს, მეორგულება.
რაღაც რო ითქმის:
„საწყალის და ქვის“
ჩემზე ასრულდა ივი თქმულება.
მივედი, მარა
ის არ მეკმარა
რა სნეულებაც თან მივიყოლე,
იქ მეტი ვნახე
მე სივაგლახე...
(თუ სიცრუე ვთქვა ქვებით დამქოლე)
ერთი მდიკი
(არც ძლიერ „დიკი“)
საჯაყ ყოფაში ჩავარდნილიყო,
ფეხ-განაბიჯი
(მოხუცი ნიჭი)
უნივერსალურ რამეთ ქმნილიყო:

ორსა სნეულსა,
ის შიგნეულსა
განუშინჯავდა ყურითა თვისით,
ორ მოწიფულსა,
უტყობდა ,,პულსსა''
ხელჩაკიდული მაჯას ხალისით,
ერთსა კიდენა
განეგდო ენა,
და მუნით სიცხეს გამოუკვლევდა,
ხოლო სხვას ორსა,
(ჭირთა გოდორსა)
დარიგებასა მშობლურს აძლევდა.
ვნახე რა აგი
ჭირ-ფათარაკი,
მოვქუსლე გარეთ გულ-გახეთქილმა,
და იქ არ მივალ
არც დღეს, არცა ხვალ
მომინახულოს გინდა სიკვდილმა.

—კი.

ეშმაკის ინტერვიუ

ქალაქის საავათმყოფოში.

ამ ბოლო დროს ერთი ახირებული ზნე დამჩემდა: ყოველი ადამიანი და სხვა არსი ცხოველი ჩემს თვალებს თავდაყირათ მავალი ეჩვენება. სახლები თითქო სახურავებით დაყრდნობიან მიწას, ხოლო მცენარეები კი თავისი კენწეროებით. ამბობენ ადამიანის თვალში მართლაც ასე იხატებიან სულიერნი და უსულო არსნი დედა მიწისანიო, მაგრამ მე მაინც ავათმყოფობათ მივიჩნიე ეს უჩვეულო მოვლენა და ქალაქის საავათმყოფოს მივაშურე.

საუცხოვო დაწესებულებაა!

— თქვენ ვინა გნებავს? ნახევარ ზრდილობიანის კილოთი შემეკითხა მსახური.

— ექიმი მჭირია.

— ვიცი ექიმი გჭირია, მაგრამ უნდა ვიცოდე რომელი ექიმი.

— სულ ერთია რომელიც იქნება.

ხალხი ბუზივით ირეოდა დარბაზში და ბუზი ხალხივით.

— მაშ დაბრძანდი. მოითმინე.

მეტი რა გზა იყო, მეც დავბრძანდი და მოვითმინე. არ გასულა სულ რაღაც სამიოდ საათი, რომ ჩემი რიგიც მოვიდა. ექიმთან მიმიწვიეს.

— მობრძანდით. თქვენი სახელი?

— ეშმაკი, ბატონო.

— გასაოცარია სწორეთ! გვარი?

— გვარიც ეშმაკი.

— საკვირველია თქვენმა მზემ! რა ტომისა ბრძანდებით?

— ეშმაკი გახლავარ.

— ჰმ! რა საქმეს ასრულებთ?

— ვეშმაკობ რაც გაეწყობა.

— ასეთი ახირებული პაციენტი ჩემს დღეში არ ნინახავს. რა სატკივარი გაწუხებთ?

— ტკივილით არაფერი არა მტკივა, მხოლოდ ყველაფერი უკუღმა მეჩვენება: აი თქვენ მაგალითად ჩემის შეხედულობით თავის ალაგას ფეხები გაბიათ, ხოლო ფეხების წილ თავი. თქვენ თავდაყირა დადგმული მეჩვენებით.

— ახირებულია თქვენმა მზემ! პულსი მიჩვენეთ.

მეც ხელი გავუწოდე. ექიმმა მაგრა ჩამჭიდა ბრჭყალები და თან გაზ. „თფილისის ფურცელს“ დაუწყო თვალიერება. მე დიდის მოთმინებით ველოდი ექიმის ბრჭყალებისაგან ხელის გაათავისუფლებას, მაგრამ ჩემდა საუბედუროთ მაჯის ცემა არ ჩერდებოდა. წამებით გავატარე ნახევარი საათი და ჩემ მაჯასაც თავისუფლება მიენიჭა.

— რას იტყვით, ბ-ნო ექიმო, ცუდათ არის საქმე?

— გასაოცარია ყმაწვილო! არ იქნა ამ ექსპოპრიაციებს ბოლო არ ეღება. აი მაგალითად: სამარაში დღესაც გაუძარცვავთ ვიღაცა.

— უკაცრავათ, მე ჩემს ავათმყოფობაზე მოგახსენებთ.

— დიახ, სწორეთ ავათმყოფობათ გადაიქცა ეს დაწყეულილი.

— როგორ გეჩვენათ ჩემი მაჯის ცემა?

— წარმოიდგინეთ, 80000

— მაჯის ცემა?

— უჰ, უკაცრავათ, უკაცრავათ! მე ისე გამიტაცა ამ ამბავმა. ვერ წარმოიდგენთ, რამდენი საქმე ჩვენა გვაქვს, ქალაქის ექიმებს. აი თუნდ შეხედეთ!

ექიმმა მეზობელ ოთახის კარი შეაღო. კუთხეში დაბალ სკამზე მოხუცი ექიმი იჯდა. გარს რამოდენიმე კაცი ეხვია. მარჯვენა ხელში პატარა შავი ძაბრი ეჭირა და ერთი ყასაბის სტომაქის შინაგანობას იკვლევდა. ამავე დროს მეორე ხელით პატარა ბავშვს მაჯის ცემას უსინჯავდა, მესამისთვის ენა გამოეყოფინებია და მეოთხეს რჩევა დარიგებას აძლევდა.

— აი ასეთ გაჭირვებაში ვართ და მოდი დავთარი ნუ აგებნევა.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! მერე ამ პირობებში შეუძლია ექიმს რამე გაუგოს ავათმყოფის გაჭირვებას?

— საქმე არა გაქვს?!! შე დალოცვილო ექიმი გულთამხილავი ხომ არ არის? ისიც მომაკვდავი კაცია.

— რამდენი საქმე გქონიათ, ბატონო ექიმო. მიკვირს როგორ უძლებთ.

— რაღას უძლებთ ყმაწვილო, ის ხალისი და ენერგია, რომლითაც ვიწყებთ ხოლმე ახალგაზრდა ექიმები, სულ დიდი 5—6 წელს გაგვყვეს. შემდეგ იწყება ეგრეთ წოდებული ინდიფერენტიზმის ხანა.

— ეს რაღას ნიშნავს?

— ეს იმას ნიშნავს რომ, ავათმყოფს შეხედ-შემოხედავ, გაუწერ რასმე ისეთს, რომ არც აწყინოს, არც მოუხდეს და ისიც კმაყოფილია.

— გაჭივრება რას არ მოაგონებიებს კაცს!

— გრძნობიერება გვიჩლუნგდება, ბ-ნო ეშმაკო, და განა მარტო ჩვენა ვართ ასეთ ყოფაში?! ჩვენზე უფრო კიდევ სხვებს ადგიათ შავი დღე. ჩვენი სამსახური ამ მხრივ გაცილებით უფრო თავისუფალია, ვიდრე სხვა რომელიმე უწყებისა.

— რასაკვირველია, ბატონო! ქალაქის მართველობა ისე არასოდეს არ შეავიწროებს თავის მოსამსახურეებს, როგორც რაიმე კერძო ან სახელმწიფო დაწესებულება.

— რა ბრძანებაა, რა შედარებაა! აქ შენს ნებაზე ხარ, რასაც გინდა იზამ, რასაც არა და არა.

— საკუთარ უფროსებს ადვილათ დაემალება კაცი, მაგრამ საზოგადოების თვალმა რატომ ვერაფერი შეჰამჩნიათ ამდენ ხანს?

— ეს რაღა თვალებია?

აი პრესა ავიღოთ თუნდა. ერთი ბრუციანი კორესპდენტი რომ შემოგეპაროთ, ხომ ქვეყანას მოსდევა ეს ამბავი?

— განა ჩვენ ვმალავთ რასმე? სულაც არა! ან ჩვენთან ისეთს რას ნახავს ვინმე, რომ სხვაგან ათასჯერ მეტი არ ენახოს? ერთმა ნაცნობმა ექიმმა მიამბო ამ წინაზე: შესულა მასთან ღრმად მოხუცებული ქალი. ჯერ „ოჩერედისთვის“ უცდია ორ საათ ნახევარი და ბოლოს რის ვაი ვაგლახით მიუღია ექიმს. გაუსინჯავს, მაჯა ენა და გამოუწერია წამალი. მოხუცი ჩოჩვით მისულა აფთიაქში წამლისთვის. აფთიაქის მსახურებს სიცილი აუტეხიათ.

— განა იუმორისტული რეცეპტი შეიძლება?

— წარმოიდგინეთ, რომ შეძლებულა! ექიმს რეცეპტის მაგივრათ ცოლისთვის წერილი მიუწერია. წარმოიდგინეთ მისი მდგომარეობა. თურმე ბორჯომში დაჩაზე ცოლი ჰყოლია. სულ იმაზე ფიქრობდა და დილიდან მოწყებული წერილის მიწერას ეპირებოდა. დაჯდა თუ არა რეცეპტის საწერათ, გაახსენდა ცოლი და მშვენიერი ბარათი გააჩრელა თურმე. მერმე ისიც დაავიწყდა, რომ ეს ცოლისადმი გასაგზავნი წერილი იყო და მოხუცს გადასცა, როგორც რეცეპტი.

— მიკვირს რატომ ის კი აღარ დაავიწყდა პატივ-ცემულ ექიმს, რომ მას ცოლი ყავს.

— შეიძლება ესეც დაავიწყდეს თუ ასეთ პირობებში დარჩა. მძიმეა, მძიმე ექიმის მოვალეობა ბ-ნო ეშმაკო!

— ჩემს შესახებ რას იტყვით პატივცემულო ექიმო? ალბათ დაგავიწყდათ, რომ ჩემი შეხედულებით თქვენ თავის ალაგას ფეხები გაქვთ და ფეხების მაგიერ თავი გაბიათ!..

— ღმერთი დასწყევლის! მართლა კინაღამ არ დამავიწყდა?!! მაშ თქვენ უკუღმა ხედავთ ყველაფერს?

— დიახ ბატონო!

— ეგ ხომ თვალის ავათმყოფობის ბრალი იქნება?

— რასაკვირველია თვალის.

— მაშ ჩემთან რისთვის შემობრძანდით? მე ხომ შიგნეულობის ექიმი ვარ.

— განა სულ-ერთი არ არის?

— არსებითად სულ ერთია, მაგრამ მაინც ასეა დაწესებული: „თვალი თვალისა-წილ და ყური ყური ყურისა წილ“. ეს ჯერ კიდევ მოსე წინასწარმეტყველმა სთქვა.

— მაშ საით მიბრძანებთ?

— აგე? იმ კარებში მიბრძანდით და რიგს მოუცადეთ.

— გმადლობთ რჩევისათვის.

მეც წაველი მეორე ოთახისაკენ.

ეშმაკი.

ოლესიდან. *)

*
* *

მე სერზე ვდგევარ, ბარს სძინავს,
ძაძას მოუცავს გლოვისას,
ვარსკლავთ გავყურებ, იქ ვეძებ
ჩემს ვარსკვლავს უბედობისას!

—

ვნახავ,—უკანვე გადავცემ
ტანჯვას, უთქმელსა ენითა—
და ამ შავ მთებში ვიტირებ,
ვიტირებ მწარე ცრემლითა.

იასამანი.

---

*) უკრაინელთა ახალგაზდა პოეტია.

ფოთის ნეგატივები.

ახლად მოვლენილი პუბლიცისტი „ზარატუსტრა“ და მუშათა კითხვა. პროვიზორ-ექიმის გოდება. პესტალოც-იუპიტერის დოიურიდან ნიკობურგელი ,,ჟიდკა‘‘—თავლია. კულტურულ-განმანათლებელი საზოგადოება ,,Лига свободнаго „хухва“.

ნიკობურგი მდიდარია „პიიტ-პიიტესებით“, პუბლიცისტ-ფილოსოფებით, რომლებიც სხვადასხვა ჰანგებზე გაჰკივიან. ზოგი მათგანი შეყვარებულის სიმებს ,,ამუსიკებს‘‘, ზოგი კი ფილოსოფიურ-პოეტურ ,,სიმფონიებს‘‘ არიკრიკებს და სხვა და სხვა. პუბლიცისტებიც საკმაოდ გვყავს, მაგრამ ერთი მათგანი (ნიცშეს ფოთელი ზარატუსტრა) იმდენათ საყურადღებოა, რომ არ შეიძლია უყურადღებოთ დავტოვო და ზურგი აუქციო.

ერთი მუშა და სანავოსნო საზოგადოების კანტორის მოსამსახურე წალაპარაკდენ, რომლის დროს მუშამ სცემა მოსამსახურეს. ფაქტი მეტათ სამწუხაროა და ყველასაგან დასაგმობი და როგორც ვიცით მუშებმა არტელის წევრს ამაზე შესაფერი მსჯავრი დასდვეს. ამ ინციდენტმა ისე გააბრაზა პუბლიცისტი ზარატუსტრა, რომ მან ერთი კალმის მოსმით სრულიად მოსპო ფოთის მუშები. ის მეხს ატეხს თავზე ფოთელ მუშებს და ამბობს: ,,это ,,бывшіе люди‘‘, бывшіе устроители міра сего‘‘ და სხვა. ,,Не есть ли это симптомъ наступающей вакханаліи дикихъ чисто-животныхъ инстиктовъ?!—Не есть ли это симптомъ вырожденія нашихъ рабочихъ въ грубую, безсознательную и невѣжественную толпу?!‘‘

რა მოხდა ბ-ნებო? ერთი მუშა ,,ველური საშვალებით‘‘ გაუსწორდა კანტორის მოსამსახურესა დაინგრა ქვეყანა. მუშები (სულ ყველა) „ველურები‘‘, ,,ნადირები‘‘ და სხვა ყოფილან.

„Безобразная и поразительная индиферентность ко всему прогрессивному и полнѣйшее отсутствіе нравственныхъ устоевъ—вотъ ихъ отличительныя черты‘‘-ო, სწერს ზარატუსტრა და ჰგონია ეს ფაქტია და მით ძალიან გახარებული.

—

რამდენიმე თვის წინეთ აქ აფთექის მაღაზია გახსნა ვიღაც ჩხეიძემ. მაგრამ ვაჭრობა სუსტობდა და როგორც ბოროტი ენები ამბობენ, აბაშიდან წამოასხა ექიმი ვინმე ბუხბინდერათ წოდებული. როგორც იგივე ბოროტი ენები ამტკიცებენ, საქმე გაიჩარხა, რადგან ექიმის რეცეპტები „გაიმასქნა“ ჩხეიძის მაღაზიაში. ამასთან ნათლიმამ-ძია-სკუებმა ხელი მოუწერეს ჩხეიძეს ,,პრივილეგიაზე‘‘, რომ კვარა-უქმეებშიც ივაჭროსო. ეს ,,გამონაკლი‘‘ კორესპოდენტმა გაზეთში აღნიშნა, რამაც პროვიზორ-ექიმს გულზე შემოყარა. ამით მაღაზიის პრესტიჟი დაეცემა, ექიმს პრაქტიკა დაეკარგა. Какъ реагировать. პოლიცია? არვარგა. სუდი?! მოვნახოთ ვინმე კანონების მცოდნე და ,,მამაძაღლი‘‘, პირძაღლი კორესპოდენტი ჩავამწყვდიოთ ვირის აბანოში‘‘-ო. ბევრი „законникъ“-ები ეძებენ, მაგრამ ამაოდ. ექიმ-პროვიზორი მოგვიწყინდა. გადაწყვიტენ ,,პოლემიკა‘‘, მაგრამ დახეთ უბედურებას, პოლემიკაში ჩაყოლა არ ვარგებულა („გაიძვერა ეს-დეკების გაზეთმა დაბეჭდა, თვარა სხვა როგორ იკადრებდა“ო), შეიძლება ჩვენი ცოდვები კიდევ იცის და შავ დღეს დაგვაყენებსო ეხლა მხოლოდ გოდებენ პროვიზორ-ექიმი და „კომპლიმენტებს“ (როგორც ბოროტი ენები განაგრძობენ) უძღვნიან კორესპოდენტს და „გაიძვერა ეს-დეკების გაზეთს“.

ვოლდემარ.

(შემდეგი იქნება)



იმედი.

—

თუმც ჯანყ-ნისლი დასწოლია
გულ ჩათხრობილ არე-მარეს,
და სიცივე აზრობს, თოშავს
ჩაგრულ გვემულთ ბედკრულ მხარეს,
თუმც ქარ-ბუქი მრისხანებით
დაგრიალებს და ქვითინებს,
სულ-გაკმენდილ არე-მარეს
გლოვის ნანას უღიღინებს,
თუმცა სუსტნი ხასიათით
შეუპყრია კაეშანსა,
და ცრემლების ნაკადს ღვრიან,
რომ სინათლე არსით სჩანსა,
მაგრამ მაინც მე იმედით
ვაჟღერებ სიმს ბედის ჩანგზე
და კვნესის ხმას, გულს ლანაბადს,
სიამით ვცვლი ხმა ტკბილ ჰანგზე.
რას მიქვია კვნესა ოხვრა,
ან ცრემლები მიმქრალ თვალზე,
როს ხსნის დიდი იმედები
უნდა გვქონდეს მომავალზე?
ვაჟღერ ჩანგსა მადლიანსა
ხმას ვამღერებ სადიდებელს
და ნიშნს ვუგებ, რომ არ ვდრკები,
კაცთა ტანჯვით მტკბარ ბელზებელს.

დ. თურდოსპირელი.

—

გოდება იასე რაჭველისა.

მოსთქვამს იასე რაჭველი,
(ხალხში მეხუზლათ ცნობილი
და „გეორგიის“ ფურნეში,
წმინდანათ გამოცხობილი).

და განა არა აქვს სავალალო? სხვა მის ალაგას პირდაპირ მუხრანის ხიდიდან გადავარდებოდა და ანკარა მტკვრის ტალღებს გაატანდა, როგორც ზღვა დარდსა და კაეშანს, ისე დიდ-ბუნებოვანსა არსებასა თვისსა. დასაბამიდან არსებობისა თვისისა იასე რაჭველი ქართველი ხალხის ბედსა და უბედობაზე ოცნებობს, ცრემლსა და ნაღველს ღვრის, დარდით ილევა. მისი მოწამისებური მიბნედილი სახე, ცოცხალი ხატებაა სამშობლო ქვეყნის ჭირისუფლობაში დალეული ადამიანისა! და მით უფრო საგრძნობელია იასეს სევდა დამწველი, რომ ხალხს არა სჯერა მისი გულწრფელობა!

აი, დღესაც, კოწია თუმანიშვილს „ივერიაში“ მწარეთ მოსთქვამს იასე რაჭველი საქართველოს უბედობას, ხალხის გაფანატიკოსებას და გაჯიუტებას.

მე, ეშმაკმან, ბიწიერმა
ლექსად ვაგე ეს გოდება,
(ნაღველი ხალხს პროზათ ვასვა,
ხალხი ამად მეცოდება).

იქნებ ვინმემ „ივერიაშიაც“ წაიკითხოს იასეს ნამარგალიტევი და პირველ პორციათ, ანუ წვნიანად ისიც ეყოფა.

ახლა გთხოვთ ქუდები მოიხადოთ და ისმინოთ გოდება „გეორგიელი“ წმინდანისა იასე რაჭველისა;

„ვაი მამულო,
აოხრებულო!
მარქსის მოძღვრებით დამონებულო!
მწველით და ცხარით
ცრემლით მდუღარით
დაგტირი ტურფავ და წამებულო!! *)
მეხუზლა მე ვარ,
ბურჯათ რო გყევარ
დიდი იასე მე ვარ, რაჭველი,
„გეორგიაში“
(ვით ქაქიაში),
ურცხვად რო ჩავყავ ორივე ხელი.
გულზე მესობა,
უმრავლესობა
როცა ჩვენს საქმეს ზიზღით უცქერის,
ისე წამხდარა,
რო ძმა გამხდარა
ვიღაც მარქსისტის, სამშობლოს მტერის!
შენ გესმით განა
ჩვენი ქვეყანა
ვინ ააყვავა და დაამშვენა????
დიდმა რაჭველმა,
იასეს ხელმა...
(ეგრემც მეხუზლას მიეცეს ლხენა!!)
შენ უხშობთ ბაზრებს
ჩემს წმინდა აზრებს,
არ გინდა მკვიდრათ გაიდგას ძირი
და მე, იასე,
აზრებით სავსე
სიბნელეს შენსა მწარეთ დავსტირი.
გაჰქრა იმედი!
საცა მივედი,
არცა „დროება“, არც „ივერია“
და „მომავალი“
ერთობ მრავალი
ხალხს ყოველ კუთხივ გაუწერია.
ოჰ, ხალხო ჩემო,
არა გაქვს გემო
რომ გაარჩიო მწარე და ტკბილი?
განა მარტო მე?
ბევრი აწამე
სხვაც ჩემებრ წმინდა მამულიშვილი.
ვით მარგალიტი
სპეტაკი ტიტი,
ართმელაძეთა გვარისა თვალი,
თქვენ არ იყავით
განაძვრეთ ტყავით,
როს აღუსრულა სამშობლოს ვალი?!
ქართველო ერო!
შე ბიწიერო!
აწ მაინც მიხვდი ჩვენს წმინდანებას
და იმ მაცდურებს,
ხალხს მარქსისტურღებს
შენთან ცხოვრების ნუ მისცემ ნებას.
მე კი, ფიცსა ვდებ,
არად ჩავაგდებ
რაც დღემდე შხამი გულს ჩამიწვეთე...
ვით „გეორგიას“,
ჩემსა ძმიას
გულში ჩაგიკრავ შენი მოკეთე!
დაუგდე ყური.
განა უფმური
ხო არ სჭირს კოტე თუმანიშვილსა?..
ისმინე ჩვენის
მიხაკო ბრძენის,
(აბა რა უგავს გზიდან შეშლილსა?)

*) აქა ნახევარ საათს ტირილია საჭირო. ეშმაკი.

ის კი მე მამე,
სავაჭრო რამე
თუ გაგაჩნია გასაყიდავი!!!
და თუ რამ ნახოთ
იქ სავაგლახოთ,
მაშინ იასეს შეურცხვეს თავი''.

ამ უკანასკნელმა ამბავმა იასე ძლიერ დაეეჭვა. იმან კარგათ იცის, რომ, იაკობ გოგებაშვილის წყალობით, ქართველმა ხალხმა კარგა ხანია გაიგო ,,ფიციისა და ბოლოს'' ამბავი. ამიტომ თითონვე შეეპარა ეჭვი თავის სიტყვებში და მცირე მოფიქრების შემდეგ ამჯობინა, მუქარით დაესრულებია გოდება თვისი:

«ახლა, ვინ იცის,
ამ ჩემი ფიცის
იქნებ არა გწამთ გულწრფელი კილო,
მაშ ვით პილატე
(გონება მჩატე)
შენს ცოდვებზედა ხელს ვიბან შვილო!"

შემდგომად ამ კუპლეტისა იასემ ცრემლიანი თვალები ამოიწმინდა, უმადურ ხალხს ზურგი შეაქცია და კოწია თუმანიშვილს მოეხვია ყელზე. ქართველი იეზუიტის კაცთ მოყვარე ლმობიერებამ ჩქარა მოაბრუნა იასეს მიჩლუნგებული მჭერ-მეტყველობა. მან კვალად მოიკრიფა ძალ-ღონე და განაგრძო:

„ოჰ მეგობარნო,
ქრისტეს ცხოვარნო!
გულისა ჩემის ვარდნო, იანო,
უმეტეს შენა
ჩემო ტკბილ-ენა
კოწიავ, სიტყვა ბარაქიანნო,
ვლესოთ ნამგალი,
ხალხში სამკალი
ძალზე მწიფეა და მოწეული,
ნუ დააყონებ,
დღეს დროა ვგონებ...

ვისაც ხალხისთვის შესტკივა გული '.

ასე სამაგალითოდ დაათავა იასე რაჭველმა თავისი გოდება ,,ივერიის'' ფურცლებზე და ახლა სამკალათ მიეშურება სოფლისაკენ.

ნეტავი მას, ვისაც იასეს ნამგალი მოხვდება!

ეშმაკი.

მესტვირული.

(ახალ-სენაკისათვის).

კვლავაც მოვდივარ ღიღინით,
ვიცი მით ყველას ვახარებ,
ვუმღერი ახალ-სენაკსა,
ტყუილს არ გამოვაპარებ;
აღარ დავსცხრები იცოდეთ,
სანამ თავს მხრებზე ვატარებ,
სანამდის გმირებს სენაკის
სიმართლით არ გავამწარებ!..
ახლაც მოგითხრობთ ამბავსა
სიამით, სიხარულითა
სამკითხველოის წევრებზე
ჰეშმარიტებით სრულითა.
თუმც სამკითხველო დაარსდა
იმ მონაგროვებ ფულითა,
წევრები ხელს არ ჰკიდებენ
ამ საქმეს წრფელის გულითა!
ეშველა, იქნა, დაარსდა!
ეხლა შორს შემალულებით
ბევრმა კიდევაც არ იცის,
ის თუ არსებობს სრულებით!
უპატრონოდა დასტოვეს...
(რა მესმის ჩემი ყურებით
ქალები ჰხვევენ ფეხსაცმლებს
გაზეთით წაკითხულებით)!..

ჯერ მიგნებაა საძნელო
და თუ დასძლიე უგზობას,
პიროვნებისა საცნობათ
„მეტრიკულს“ გთხოვენ მოწმობას.
ბევრი ამითაც შეშინდა,
სახლში მოჰკურცხლა ჩქარადა:
თუ პოლიციას აცნობეს,
დაგვტანჯავენო მწარადა.
ვის ხშირად ნახვენ, მთავრობა
იკერსო წაკითხულისთვის:
ვინაა თავი გასწიროს
სამკითხველოის გულისთვის?
ახლა სკოლაში შევიდეთ
და ვნახოთ სანახავითა
თათარიშვილი რო კნავის
მჩხავანა კატასავითა;
რომ „კუდი“ ენუქიძისა
კვლავ ამოიდოს თავითა,
„ჩინ-ორდენისკენ“ გასცუროს
„ჰაეროპლანის“ ნავითა...
იქავე ნახავთ ჩოჩიას
და ჰკითხეთ, ნუ გაიცინეთ:
რად ეუბნება მოწაფეთ:
„მოიცათ!.. დედას გიტირეთ!?“...
ერთსაცა, ვიტყვი ამაზე,
ვიცი რომ არ გაიკვირეთ:
ენუქიძესა ვექილობს,
ის ლანძღოთ აგი იტირებს!
აწ გავათავე სიმღერა,
დავდევი ჩემი სტვირია,
ახლა, შენ იცი, მათრახო,
შენი წყალობა გვჭირია.

ფაჩუ.

უცხო სიტყვათა ახსნა.

(ხონის რაიონისათვის)

არშიყობა.—სურდო ხონელი ინტელიგენციისა.

ხონის თეატრი.—დაწესებულება, სადაც გაიმართა სამასი რეპეტიცია, სამი წარმოდგენა და ერთი ჩხუბი.

ქვიტირის სამკითხველო.—თაგვების ბუნაგი.

ნახახულევის მწერალი პლატონი.—ცოცხალი მანქანა, რომელითაც შინჯავენ სისქეს გლეხების ჯიბისას.

კონტუათლები.—სამკითხველოს მაძიებელნი.

საჩივარი.—პირველი მცნება ხარიტონ ხუცესისა.

პროლ. ეშმაკი.



ორი ეშმაკი.

(„საერო“ კაზეთი.)

პარგელი. დილა მშვიდობის, ჩემო ძვირფასო!
„საერო“ ნახე ნომერ პირველი?
ღვინო კი არა, გაზეთი რამე
სურგულაძეა სადა მწირველი.

დიდი ხანია ქართველი ერი მოელოდა „კორინთელოა მიმართ ეპისტოლე წმინდისა პეტრე მოციქულისა საკითხავს“, ვინაიდან ჩვენმა ეროვნულმა მათეებმა, ლუკებმა და მარკოზ-იოანებმა კარგა ხანია დასწერეს თავისი სამოციქულო და საკითხავი.

მეორე. დასწერეს, მაგრამ ვგონებ ფეხს ვერ იკიდებს საღმთო აზრი მათი. ახლა კი აღარ ვიცი „პეტრეს სამოციქულოს“ რა ბედი ეწევა.

პარგელი. „ვეცდებით, რამდენათაც შეგვეძლება ჩვენი თავი გაგაცნოთო“ ასე იწყება ეპისტოლე წმინდისა პეტრე მოციქულისა.

მეორე. ვითომ რა? იოლი არის
განა გაცნობა მაგათი?
თვეში თითო ტყავს იცვლიან,
ასეთი დასდევთ ადათი.
დღეს რო გაიცნობ, შეხედავ
ხვალ სულ სხვა ქეჩხოს ატარებს,
რაც დრო გამოდის, ცოდვილ თავს
სულ უკვდავ პირებს ადარებს.

პარგელი. ამბობენ: „ქართველი ერი ამ ერთი საუკუნის განმავლობაში სრულს დაქუცმაცების ხანას განიცდისო“.

ინებეთ და იგემეთ!

მეორე. რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! ქართველი ერი ამ საუკუნის წინ იყო მჭიდრო „ერთეული“.

როცა გურია ოდიშს ებრძოდა,
ორივე ერთად იმერთ მბრძანებელს,
ოდესაც მეფე იმერეთისა
აფხაზებს არა დაიკლებდის ხელს,
ოდეს კახეთი ქართლს ეცემოდა
ქართლი კახეთსა და მთიულებსა,
ოდესაც ძენი ქართლოსისანი
ელეტდენ ერთმანეთს ვით წიწილებსა,
როდესაც ციცი სემბათს ებრძოდა,
სემბათი კიდევ ორბელიანსა,
ოდეს კახეთის ერისთავები
ქსნის ერისთავებს სცემდენ ზიანსა,
იმ ჟამად იყო ქართველი ერი
არ ნაქუცმაცი იყო მთლიანი,,
და, ალბათ, ახლა იმ დროს იგონებს
პეტრეს კალამი წვერ-მადლიანი.

პარგელი. ამბობენ: ,,წახდა სარწმუნოება,
რჯული დაეცა სანატრელიო,
ძველათ რო ერსა გზას უკაფავდა
დღეს გახდა მისი შემბორკველიო.''

მეორე, გარნალაც სატირელია
ეს ნაკლი ჩვენი ერისა:
დაეცა საქმე, დაეცა
ქართველი ხალხის ბერისა!
ძველათ მდიდარის, მაძღარის
მუცელზედ განაბერისა,
დღეს დამშეულის, გამხმარის
გასახარელად მტერისა.

პარგელი. ყველაზე უფრო ქართველ თავადაზნაურობას მოხვდა სიმწვავე საერო კალმისა:

„არ თუ ძველად,
ზუბრნი ჩვენ'ში
დღესაც დიდ როლს თამაშობენ:
სახნავ-სათეს
ადგილ-მამულს
თითქმის სულ ისინი ფლობენ.
თუმც ამ ბოლოს,
მათ სამშობლოს
უღალატეს და გასწირეს
მამულების
და მიწების
მათ გაყიდვას მოუხშირეს.
სულ დას-დასად,
ჩალის ფასად,
უცხო ხალხს უყრიან ხელში,
და თვის ერსა,
დღეს მშიერსა
ყრიან ჭირს და განსაცდელში“.

მეორე. ეს დიდი უბედურებაა და აკი საშვალებაც მოუნახავთ, რომ ქართველი თავადაზნაურები გონს მოიყვანონ. „ჩვენი ზნეობრივი მოვალეობაა გავაფრთხილოთ მფლანგავი მემამულენი, წინაალმდეგ შემთხვევაში მათი საკადრისი ადგილი ვუჩვენოთ ისტორიაში“.

იმედია ამ მუქარას
ვერ გაუძლებს ზუბრთა თავი,
მამულს გლეხებს დაურიგებს
მოქეიფე და მფლანგავი.

პარგელი. „ქართველი ერის უმრავლესობას წვრილი მესაკუთრენი შეადგენენ. ამიტომ ჩვენი უმთავრესი ყურადღება უნებლიეთ იმათკენ იქნება მიქცეული. სადაც კი მშრომელსა და მესაკუთრეს შორის უთანხმოება ჩამოვარდება, ჩვენ ყოველთვის ვეცდებით მშრომელის მხარე დავიჭიროთ.“-ო ბრძანებს სამოციქულო.

მეორე. „მაგრამ ერთის პირობით კიო“. დასძენს იგივე მოციქული.

„წარმოებას აქვს თავისი
კანონი და საფუძველი...
ჩვენ ვერ მივცემთ მუშას ნებას
მრეწველს შეუშალოს ხელი“-ო.

პარგელი ნეტა რაა ეს კანონი
და ან ეგე საფუძველი?



სამთა კავშირი, და სოფელს ჭირი.

შეორე. ეს ის გახლავს, რომ მრეწველებს ბევრი უყვართ საკენკელი.

აი ქვევით თითონ სამოციქულოს ავტორები ხსნიან ამ საკითხს: „ჯერ ჩვენ განვითარების ისეთ საფეხურზე ვართ, როცა წარმოება თავის გასავითარებლათ განსაკუთრებულ ზრუნვას და მოვლას მოითხოვს“.

ამნაირათ განმარტავენ
მოციქულნი იმ საფუძველს,
თუ ვით ჩვენში მუშა ხალხი
მრეწველებს არ უშლიდეს ხელს.
მრეწველობას ზრუნვა უნდა,
მაშ მუშებო იძვრეთ ტყავი!!
(ამა აზრის მქადაგებელს,
კეხი ჰხამს და მოსართავი!)

შ ა რ ა დ ა.

ნაზი ყვავილით იწყება
მისი უმსგავსი სახელი,
ვისიცა ესე შარადა
იქნება გამომსახველი.
მას ნაზსა ყვავილს ტურფასა
მოაბით სიტყვა ახალი..
სიტყვა, რომელიც არა მთობს,
რადგან არ არის მაღალი.
მხოლოდ ამ სიტყვას, მეორეს,
მოჰპარეთ ბოლო ნიშანი...
ჩვენში ისინი მრავლობენ
ვითარცა ზღვათა ქვიშანი.
შემდეგ მოსძებნეთ სოფელი
გურიის კუთხეთ მდებარე,
ნახევრად ქობულეთისკენ
გადამყურ გადამხედვარე.
მასაც მოსწყვიტეთ ანბანი
ბოლოზე მოტანებული,
ნაცვლად მოაბით მინდორი
აბიბინ-ამწვანებული,
და მზათ იქნება შარადა
დაკოწიწ-დანაკერები,
პატრონის ღირსებისათვის
სრულიად შესაფერები.
ის „მოღვაწეა“ რომელმაც
იძმო ათონის ბერები,
და მოუპოვა მდიდართა
ადრესი მოსაწერები.
რომელსაც დღესაც სჩვევია
სიურცხე გასამტერები
(ეზუიტებთან იბეჭდვის
იმისი „დანაწერები“)
თავს ხალხის მბსნელათ ისახავს
სხვები ჰგონია მტერები
და ვინც ვერ ახსნას შარადა
იმას შეურცხვეს წვერები.

კოლო.

კალმისთვის წამებული.

ტრადი—ჯომედის ერთ მოქმედებათ.

(დასასრული. იხ. „მათრ.-სალ“. № 14)

გამოსვლა მესამე.

სოლომონ, შემდეგ ანუსია.

სოლ.—(შემოდის. პირზე ხელები მოუჭერია და ისე იცინის. უკან უკან იხედება) გადვირიე კაცი და აგია სწორეთ. რა შიეყარა ნეტაი ამ ჩემ ხაზეინს? თავში რომ რაღაც გლახათ აქვს საქმე, აგი ქე ვიცი. (მივა დაჯდება მაგიდასთან და ქაღალდებს ათვალიერებს) ნამეტანი წერა კარგს არ უზამს კაცს მაინც. რამდენს მაგი ჩხაპნის, უფრო უნდა გადარეულიყო. მე რომ ამდენი ვწერო ჩემი თავი პრაფესორი მეგონება და გადვირევი ამა რას ვიზამ. მე რომ მაგდენი მეწერა ასი მაგის უკეთესი ვიქნებოდი. იმისთანა ლექსების გამოთქმა ვიცი, რომ სოფლის გოგუები სულ გადავრიე. მოდი ერთი დევიწყო მეც წერა? (შემოდის ანუსია)

გამოსვლა მეოთხე.

სოლომონა და ანუსია.

სოლ.—(ანუსიას ვერ ხედავს. კალამს აიღებს ხელში და ხმა მაღლა ამბობს)

გოგოვ შენმა სიყვარულმა
სულ მთლათ დამწვა დამანელა,
როცა განახე მომეწონე
შემიყვარდი ნელა ნელა. (უნდა დასწეროს.)

ანუსია.—(მივარდება შეშინებული) რას შვრები ბიჭო? რას შვრები შე დასაბნელებელო? განა არ იცი ჩემი ბიძინას ამბავი? რა საქმე გაქვს მის ქაღალდებთან. სადაც არის მოვა და თუ დაგინახა

სულ მთლათ დაამტვრევს აქაურობას. ადექ! ადექ! შე სამიწევ!

სოლ.—(წამოდგება და ბუტბუტებს) რა იყო, თუ კი მეც შემიძლია წერა და ლექსების გამოთქმა რეიზა უნდა დავლუპო ტყუილა ჩემი ნიჭი? იქნება ბიძინასაც მოეწონოს.

ანუს.—(გაჯავრებული) დაიკარგე შე საძაგელო! შენი გამოთქმული ლექსი შენ ბალნებს შეუნახე, ვის გაუგონია შენი წიგნი და ლექსი. უკეთესია შენ საქმეს მიხედე. ლექსის წერა და ამისთანა ჩემი ბიძინას საქმეა.

სოლ.—(გული მოსდის) ძალიან უკაცრავათ ბრძანდებით, ქალბატონო, მე რომ სოლომონაი ვარ მეც ქე მომცა ღმერთმა ნიჭი და კიდეც დავწერ· თუ გინდა ახლავე დაგიმტკიცებ, რომ მე ლექსის გამოთქმა შემიძლია (ჩაფიქრდება. სახე გაუბრწყინდა და ამბობს)

ჰა ბებია ახტი დახტი
ჯერე ამ სტოლს გადაახტი,
მერე აქეთ გადმოხტი
და მერე იმ სკამს მოახტი. (ტაშს შემოკრავს) იფ! ყოჩაღ ბიჭო სოლომონა რა ლექსი გამომივიდა.

ანუსია.—(გაბრაზებული) როგორ ბედავ?! გასწი აქედან შე სალახანავ! უყურეთ ერთი ამას? ვაეთრიე აქედან!

სოლ.—(გაჯავრებული მიდის კარებისკენ) თუ გინდა ყველაი გულზე გასკდით მე მაინც ლექსების გამოთქმას თავს არ დავანებებ. ნახე აგერ თქვენი სოლომონაი ლედახტორი თუ არ გახდეს. (კარებში ბიძინას შეეხეჩება და უკან დაიხევს.)

გამოსვლა მეექვსე.

იგინივე და ბიძინა.

ბიძ.—(შემოდის სახე გაბრწყინვებული და ხელების შლით ამბობს)

კრიალა მთვარის სხივები
გადმოფენია არესა,
ვახშამით მაგრათ გამძღარი
მივალ დარბაზის კარებსა. (შეჩერდება)

სოლ.—(ღიმილით) ქე გადარეულა.

ანუს.—(შეშინებული) რა დაგემართა შვილო?

ბიძ.—(შეხედავს სოლომონს, მერე ანუსიას და განაგრძობს):

სოლომონ რაჭველთ ხუცესი

სოლომონა.—(სიცილს ვეღარ იმაგრებს) ფხუუ!

ბიძ.—(განაგრძობს) ფხუს იძახის, როგორც ჯორი.

სოლ.—(გაჯავრებული თავისთვის) ჯორიც ხარ და ჩოჩორიც.

ბიძ.—(მიდის მისკენ) ყურები ჩამოფლარტვია, როგორც ავლაბრის ჩოჩორი.

სოლ.—(უკან უკან იხევს გაჯავრებული) რავა გეკადრება, ბატონო, გალანძღვა.

ბიძ.—(ყურს არ უგდებს. ანუსიას მიაშტერდება და ამბობს) აქეთ ბებია კრუსუნებს.

ანუსია.— ვაიმე, შვილო ბიძინა!

ბიძ.—(განაგრძობს) ამდენი ლექსის შემთხზველსა
კარგია თუ დაგეძინა.

(ანუსიას მხარზე ხელს დაკრავს) ყოჩაღ ბებია! ყოჩაღ! რა კარგი ლექსი გამოგვივიდა. (მივა მაგიდასთან) არა, ეჭვს გარეშეა, რომ პოეტობის ნიჭი მაქვს. უცილებლათ მაგრათ უნდა მოვკიდო ხელი ლიტერატურის ამ დარგს. აბა შევუდგე საქმეს (კალამს აიღებს და დაფიქრდება. სოლომონა კარებისკენ მიდის) აბა, დაიცა შენ, დაჯექი. დაჯექი ბებია. თქვენ ორივე უთუოთ აქ უნდა იყოთ. მე მინდა ეხლა გამოვიჩინო ჩემი ნიჭი. უნდა შევთხზა დიდებული ლექსი და მოწმე იყავით (ანუსია დაჯდება. სოლომონა კუთხეში დადგება და ღიმილით უყურებს. ბიძინა ღრმათ ჩაფიქრდება. ცოტახნის შემდეგ შუბლზე ხელს შემოიკრავს, თავს მაღლა ასწევს და სახე გაუბრწყინდება) დიახ! მზათ არის. ტემაც საუცხოვოა. მე თქვენ აგიწერთ ეხლა მთვარიან ღამეს და ბულბულის სტვენას (ჩაახველებს)

ბნელ ღამეში ცის სივრცეში
მირბის სწრაფათ თეთრი მთვარე,
აქ ბულბული ძალლივით ყეფს
იქ ყროყინებს ვირი მწარეთ.

(ტაშს შემოკრავს) დიდებულია დიდებული. ხომ კარგია ბებია? ა? სოლომონა ხომ კარგია?

ანუსია.—(გახარებული) მშვენიერია, მშვენიერი ჩემო კარგო. აბა ვინ იტყვის, რომ შენ ამისთანა ლექსების მწერალი ხარ.

სოლ. -(ღიმილით) კაია, ბატონო, მარა იგი ვერ არის კარგათ, ბულბული რომ ყეფდა და ვირი ყროყინებდა, ხომ შეუშლიდენ ერთმანეთს გალობას?

ბიძ.—(ხელს ჩაიქნევს) ეჰ! აბა შენ რა იცი რა პოეზია იხატება აქ. ბულბულის ყეფა, ვირის ყროყინი, ბნელი ღამე და მთვარე. რა გინდა აქ რომ არ არის. ეს მთელი პოეზიაა. (სწერს)

სოლ.—(თავისთვის) მაგი თუ ლექსია და ჩემი ლექსი მარგალიტი ყოფილა. ისე გამოვთქვამ ლექსს, რომ არც ვირს ვახსენებ და არც ჯორს. რა საკადრისია ვირის ხსენება (იცინის)

ან.—(გაჯავრებული) რას ბუტბუტებ ბიჭო? ხომ ხედავ წერს, ხელს ნუ უშლი.

ბიძ.—(გაათავებს წერას, წაიკითხავს. გაბრაზებული წამოვარდება და ხევს) არ ვარგა! არ ვარგა მე მსურს დიდებული რამ დავსწერო! მე მსურს ქვეყანა გავაკვირვო (თმებში ხელს იტაცებს და დადის).

ან.—(შეშინებული წამოვარდება და მიირბენს) რა იყო, შვილო, დამშვიდდი, რა მოგვიდა?

ბიძ.—(მიაყრის თვალებში ქაღალდის ნახევებს უყვირის) ის იყო, რომე პოეტი არა ვარ, არა, არა! არ შემიძლია ლექსების წერა.

სოლ.—(ეშმაკივით იღიმება) არა, რას უბნობთ, ბატონო, თქვენ სამაგალითო ლექსის დაწერა შეგიძლიათ. თქვენი ლექსი თუ არ ვარგა ჩემი რაღა იქნება. მეც მელექსეთ მომაქ თავი.

ბიძ.—(გაჩერდება) შენ მართლა იცი ლექსის წერა?

სოლ.—ვიცი, მარა თქვენ არ მოგეწონებათ.

ბიძ.—აბა, ერთი! სთქვი ნუ გენაღვლება. თუ კარგია შევაკეთოთ და დავბეჭდოთ გაზეთში. შენს მაგიერ თუ შენ გცხვენია მე მოვაწერ ხელს. აბა სთქვი!

სოლ.—(ჩაფიქრდება. ჩახველებს).

აქედანა გავიქეცი
ღობის ძირას წავიქეცი...

ბიძ.—(შეაჩერებს) დაიცა, ასე არ გამოდის კარგათ (ფიქრობს.)

აქედანა გავიქეცი
იქ ოთახში სტოლსა ვეცი,

საუცხოვოა, საუცხოვო. ჰო! მერე?

სოლ.—(წყენით) მე მასე არ მინდოდა, ბატონო, ეხლა თქვენ დაათავეთ.

ბიძ.—კეთილი! ეგ ადვილი საქმეა. შენ ოღონდ დაწყება თქვი თვარა მერე მე ვიცი. მე მუდამ დაწყება მიჭირს თუნდაც უბრალო წერილი იყოს. (ჩაფიქრდება. განაგრძობს) აქედანა გავიქეცი
იქ ოთახში სტოლსა ვეცი,
მერე სკამსა დავეჯახე
იატაკზე წავიქეცი.

(ტაშს შემოკრავს.) საუცხოვოა!. საუცხოვო!

ან.—მშვენიერია!

სოლ.—ნახევარი ჩემია და ნახევარი თქვენი.

ბიძ.—ეს კარგი, მაგრამ მარტო ერთი კუპლეტი არ კმარა. საჭიროა ორი სამი კუპლეტი, რომ გაზეთში დაიბეჭდოს. აბა, ჩემო სოლომონ, სთქვი ქვევით.

სოლ.—მე მეტი აღარ შემიძლია, ბატონო. თქვენ ჩემზე უფრო კარგათ გამოსთქვამთ.

ბიძ.—(მივა მაგიდასთან, დაეყრდნობა ხელებზე და ფიქრობს. ცოტა ხნის შემდეგ თავს გააქანებს. ხელებს იქნევს.) არაფერი გამოდის! აბა სოლომონ დაიწყე!

სოლ.—რა დავიწყო, ბატონო, რომ არაფერი ვიცი.

ბიძ.—შენ ოღონდ დაიწყე და მერე ჩემი საქმე იყოს.

სოლ.—რომ არაფერი ვიცი რა დავიწყო?

ბიძ.—მაშ რა ვქნა? (ჩაფიქრდება. ცოტა ხნის შემდეგ წამოვარდება გაბრაზებული მიხევს მოხევს ქაღალდებს და ყვირის) ჰო არც ეს მოდის თავს. პოეტობაც არ შემიძლია. ამით მე ქვეყანას ვერ გავაკვირვებ. ჰო. სხვა რამე უნდა ვსცადო.

ან.—(შეშინებული) ღმერთო მიშველე! რა მოგვიდა შვილო!

ბიძ.—დასხედით! ეხლა გატრუნეთ სული. ხმა, კრინტი არავინ დასძრათ. ჩემთვის საჭიროა ღრმა ჩაფიქრება. ხელი არ შემიშალოთ ეხლა უნდა შევთხზა დიდებული რამ. ეხლა უნდა დავსწერო ისეთი წერილი, რომელიც ცეცხლივით უნდა ჩაენთოს ყველას გულში. დიახ, ჩემი წერილი ხალხის გულის ამაძგერებელი უნდა იყოს.

ან.—(მოფერებით) უმჯობესი არ იქნება, შვილო, ეხლა მოისვენო და ხვალ დასწერო წერილი?

ბიძ.—(გაბრაზებული) არ მოვისვენებ, აბა როგორ მოვისვენებ, როცა ხალხი ელის ჩემს სიტყვას! დაჯექი მანდ, ხმა გაიკმინდე, ხელი არ შემიშალო. შენ მანდ იყავი სოლომანავ, ხმა არ ამოიღო.

სოლ.—რომ დამაცხინკვოს, ბატონო?

ბიძ.—არ შეიძლება, ხელს შემიშლი.

სოლ.—აბა ცხვირს ხომ ვერ მოვიჭრი, ეხლა არ მინდა, მარა იქნება მერე შემიჯდეს ეშმაკი და ქე დამაცხინკვოს, რაღა ვქნა მაშვინ.

ბიძ.—როგორც კი შეატყო, ცხვირზე ხელი მოიჭირე.

სოლ.—კაი დაგემართოს, თუ დევიჭირე.

ბიძ.—კარგი ერთი, კმარა. (ღრმათ ჩაფიქრდება. შემდეგ სწერს. კაი ხნის შემდეგ აიღებს ქაღალდს, წამოდგება და ხმა მაღლა ხელების შლით კითხულობს, ანუსიას და სოლომონას) ეხლა შეგიძლიათ თამამათ იყოთ. დამიგდეთ ყური. იცოდეთ, რომ თუ კარგათ არ ჩაუკვირდით, ისე ვერას გაიგებთ. „რევოლიუცია უწინ იყო. იმისთანა რევოლიუცია იყო, იმისთანა, რომ სულ ბდღვირი აადინა გამხეცებული, როგორც ლომი ეხეთქა რეაქციას, გადაბრუნა და ზე კაკალ გულზე დააჯდა. რეაქციამ კვნესა დაიწყო. რევოლიუციამ გაიმარჯვა. ხალხი სიხარულს მიეცა. მარა ეს სიხარული მალე გათავდა. რეაქცია წამოუდგა რევოლიუციას, დაკრიჭა კბილები, აიყარა ფაფარი, დასჭექა, და-

ანთო ცეცხლი, აქეთ ეცა, იქით ეცა, მილეწ-მოლეწა ყველაფერი, დაამსხვრია, დაამტვრია (აიღებს სამელნეს და ესვრის სოლომონს, ხვევ ქაღალდებს, ისვრის საწერ-კალამს. ანუსია და სოლომონ შეშინებული გარბიან).

ანუსია—ღმერთო გვიშველე! არიქა სოლომანავ, ექიმი ჩქარა! (გარბის).

სოლ.—(გარბის) ვაი დედა, თავი! ახლა კი გადირია სწორეთ, მაგას ვერც ერთი დოხტური ვეღარ მოარჩენს.

ბიძ.—(განაგრძობს კითხვას) ხალხი წელში გატყდა, მისი წამოყენება ძრიელ გასაჭირია. საჭიროა წამლობა, ექიმი, ექიმი! (დარბის გაგიჟებით).

სოლ.—(კარებში თავს შემოყოფს) ახლავე ბატონო, მივრბივარ ექიმთან.

ანუსია—(შემოიხედავს კარებში ტირილით) ახლავე შვილო, მოგიკვდეს ბებია. ეხლავე მოვა ექიმი. (გარბის).

ირეთელი.

ფ ა რ დ ა.

პრიზები

ქართველი საზოგადოების ერთმა ჯგუფმა ფრიად სიმპატიური საქმე მოიმოქმედა: ბანკის ბაღში მოაწყო სეირნობა პრიზებით.

1) პრიზი სილამაზისა მიიღო გიორგი გვაზავამ. (სახელდობრ ნაქარგი ქოში დიაცისა).

2) პრიზი ლამაზ მოქმედებათა ერგო გიორგი ამირეჯიბს. (ინგლისური ბოქსი და ხევსურული ხვეული).

3) პრიზი კოხტა ტანისამოსებისა მიიღეს: ბ-ნმა ეშმაკმა და პართენ გოთუამ. (ძველი ნაბადი).

4) პრიზი ქართული მოლხენისა—ირეოდიონ ევდოშვილმა, სიმონ ყიფიანმა და ვალერიან გუნიამ. (მოქარგული კუპრიელები.)

5) პრიზი გაიძვერობისა—კოწია თუმანიშვილმა (ირდენი იეზუიტთა კორპორაციისა).

6) პრიზი „უანგარო“ მოღვაწეობისა—იასე რაჭველმა. („გეორგიას“ ძველი წესდება).

7) პრიზი ხელთათმანებისა—მ. ადამაშვილმა. (ერთი ნაჭერი საპონი).

8) პრიზი ქართველი მეცნიერებისა—ბ-ნმა ლობჯანიძემ. (პატარა სათამაშო ეტლი).

9) პრიზი დრამატურგობისა—ლევან მეტრეველმა. (ერთი ვაგონი ქაღალდი, ახალი, ოთხას მოქმედებიანი დრამის დასაწერათ).

10) პრიზი პუბლიცისტობისა ერგო პატივცემულ „ბატონს“. (ისლის ღერი და წყალში გაძრული საპონი).

12) პრიზი განცხრომისა—ერგო წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას. (თითო ბალიში).

13) პრიზი მართლ-მსაჯულებისა.—(. . . *) თანხის გამნაწილებელ კომისიას. (საქართველოს ქარტა).

მხეცი დავლეწდა!..

(ესკიზი)

ამაუად, მედიდურად გაჭეშმარიტ კავკასიონის მთაგრეხილი; ამისი მუდმივი, თოვლით შელესილი მწვერვალნი მზის სხივებ ქვეშ ასაშურად ქოთქათებენ. აქეთ აჭარა-გურიის მთა დურჯთ გამოიუურება, ისიც, ვითომ, ამაუობს, მედიდურობს, თუმცა ბარეულთან ჭოჭის გამოწეულ არ შეუძლია და არა... ამ ორ დეგ-ბორის შუა მოჩანს ერთ, უბირად გაწოლილა ნიგოიოის ბატარა ქედი, რომელიც ერთის მხრით მდ. სუფსის ვიწრო ღელეს გადაჭეურებს, მეორეთი კი ეკეკებითა და მინდორ-ჭალაკებით ფართოდ დაფენილი რიონის ხეობა, თვალწარმტაც სანახაობას წარმოადგენს ეს ხეობა ამ ქედიდან! დასავლეთით გაწოლილან რიონის ნაბირები ტურჯთ მოაბიბინე ნათესი მინდვრებით, აღმოსავლეთით კი წარმოსდგომია დიდრონ საფეხურებიან კიბესავით აღმართული ანაშის სოფლიდა, რომელიც ერთანად ბორცვებ-გორაკებზეა გაშენებული. ხრიოკი, შწირი, თითქმის უმცენარეულია ეს გორაკები, მაგრამ აღნიშნულ სურათში ბარეული აგიდი უკირავთ. ნიგოიოის ქედისაგან ისინი ჩრდილო-აღმოსავლეთით გამოფოფილ-განცალკევებულნი, გორაკთა ერთის თითქმის დამოუკიდებელ უბანს შეადგენენ. ბირკელსა და უკანასკნელთ შუა კიდის ვიწრო და მახვეულ-მოხვეული ხევი, რომელშიაც ჩუმთ, უხმოთ, თითქმის ქურდულად მიიპარება ბატარა მდინარე-ხევის წყალი.

ამ მდინარის სამხრეთ დასავლეთით, ნიგოიოის მთის კალთები დაფენილია საძოვარი აგიდებით, სადაც სოფლის ბატარა მწყემსები თავიანთი ნახირი გამოურეკიათ. დიდით საქონელი ხარბათ ეძალება ნამიან ბალახს, შეადღისას წყლისკენ ეშურება, წეურვილს იკლავს, გრილდება, ჩრდილში ისვენებს, სამხრობის ხანს ისევ ზეკითკენ იწევს და საძოვარზე ჯარის კაცთა გაშლილი რაზმივით გამოეფინება. მწყემსებიც აგიან მადლობებზე, სადაც აქა-იქ ობლათა სიდგანან მადალი, ტოტებ-გაკაშლილი წიფლის ან ცხემლის ხეები. ეგ ნაშთნი ერთ დროს აქ არსებული უგალი ტყისა, რომელიც შემდეგ ადამიანის შეუბრალებელი ხელით გაჩეხილ იქნა. ამ ხეთა ჩრდილებ ქვეშ იკრიბებიან მწყემსები, ცეკვაობენ, დაზდანდარობენ, ბავშურ თამაშს გატაცებით ეძღვიან, დრო გამოშვებით ნახირსაც გადახედავენ სოდმე.

მზე ნელ-ნელა დაბდა დაეშვა. ის ჯერ რადაც მო-

*) გვარი ვერ გავარკვეეთ.

წითლო- მოუვითალო ორთქლისა და ჭაერისაგან შეხვეულ ნისლში გაეხვია, შემდეგ ამ ნისლმა ოან და ოან ზეკით აიწია და წითლად აკრიალებულმა მზის ბურთმა ზღვის ზედაპირს ფეხი დაადგა, თითქოს ტანი გაიხადა და ზღვის უფსკრულში გადაშვებას დაემზადა.

— ჭაუუ, შედანია, ჭაუუ!.. გასძახეს ბატარა ამხანაგებმა ერთი გორაკიდგან—მეორეზე 10—11 წლის ბატარა ქალს, რომელსაც ამ სადამოს პირით ძროხა გაებნა და დაეძებდა.

მოისმა ბატარა ქალის წკრიალა გამოხმაურება.

— ნახეე?! ეკითხებოდენ ხმა მაღალის ძახილით ამხანაგები.

— „ვერა, ვერა!..“

ამხანაგები ძახილითვე ურჩევდენ ბატარა ქალს, თავი დაენებებია გაბნეულ პირუტყვისთვის და სახლისკენ გამობრუნებულიყო, რადგან მზე უკვე ჩავიდა, სიცა იყო ჩამობნელდებოდა და ასეთ დროს კი საშიში იყო ტყეში მარტოთ სიარული, მაგრამ მელანო მათ ყურს აღარ უგდებდა. გულის ფანცქალით აწუდებოდა გორაკის აღმართს და გასძახოდა: „მოო, გიშერა, მოო!..“ მაგრამ გიშერას თითქოს კვალიც კი გაჰქრაო... დიდხანს უცდიდენ ამხანაგები მელანოს, რომელმაც გორაკის წვერი უკვე გადალახა და მის იქითა ფერდობზე დაეშვა. ბოლოს ნახირი გამორეკეს, მელანოს დანარჩენი საქონელიც გამოადევნეს და სოფლისკენ გამოეშართენ.

ის იყო ბეჟუკა ყანიდან დაბრუნდა, თოხის აკუდებაც კი ვერ მოასწრო, მარიამ ვახშმის სამზადეში იყო კართული, რომ ჭისკარზე ჯეკუფად შეჩენდენ ბავშვები და მშობლებს მელანოს ამბავი აუწყეს.

ბეჟუკამ იმ წამსვე თოხი ძირს დაადგა და ჩქარის ნაბიჯით ქედისკენ გასწია.

კარგა ხანი გავიდა. აგერ ვახშმის დროც მოაწია. გაბნეული ძროხა უკვე სახლში მოსულიყო, ბეჟუკა და მელანია კი არა სჩანდენ. თავზარ დაცემული მარიამ ხან ერთი მეზობლისკენ გაკიოდა და ხან—მეორისაკენ. ბეჟუკას ეზოში ხალხი მოგროვდა. ყველა გრძობდა, რომ ბეჟუკას ამდენი ხნით დაგვიანება რიდასიც მომასწავებელი იყო. ხალხი ამოძრავდა. ეზოდან გაღვიდა და ქედისკენ გაეშურა. ყველაზე წინ გაფაფრული მარიამ კარბოდა. მისი მშობლიური გული რადაც ავი წინათგრძნობით იყო მოცული. გორაკეტებულის ენერგიით კარბოდა ის ყველაზე წინ, ყველაზე სწრაფად, თითქოს სიეშმაწვილის ძალა დაებრუნა იმის, დროთაბრუნვისაგან ძალა მოკლებულ, მუხლებსო: ყველას ავიქრებდა და წინ აშურებდა ბატარა ქალის გამოურკვეველი ბედი. მთავრე არ სჩანდა. ის ჯერ კიდევ დიდხანს არც ამოაღოდა. იმისი აქა-იქ შავთ კრანეულთ პირ-დადებული დრანტები საშიშრათ გამოაეურებოდნენ ამ უკუნეთს დამეშა...

— მელანია ჭაუუ!.. მოისმოდა სადაც მთის გორაკიდან ბეჟუკას ხმამაღალი ეკეთა, ბასუხათ მხოლოდ მთის, გორაკების, კალდე-ტრეების, ცივი და უაზრო გამოძახილი და მოისმოდა...

— „არაფერი ისმის ბეჟუკავ?!.“ შესძახა მოახლოვებულმა ხალხმა, რომელსაც ბასუხათ მხოლოთ ბირველის ხმამაღალი და სასოწარკვეთილი ტირილი მოესმა. აქეთ მარიამამაც ასტეხა გულის გამგლეჯი წივილ კივილი. საზარელი სურათი იყო. რითაც და რაგორაც შეეძლებოდა, ხალხმა დაამშვიდა საბრალო მშობლები მცირე ხანით აქ დაისვენეს. მოვარის ამოსვლას უცდიდენ, რომ მის სინათლეზე ისევ ძებნა განეგრძოთ.

ჭა, მოვარემაც ამოატანა და ქედის კალთას ხეთვი მოაფრქვია. ეხლა უკვე მთელი სოფელი იდგა ფეხზე. ისინი მოსდებოდენ მთას და იმის კალთებზე საშიმარი ჩრდილებივით დაძრწოდენ, დაეძებდენ... უბრალო ჩირგვის ძირსაც კი არ სტოვებდენ თვალ მოუკრავს...

„მხეცი დაჭეკლეჯდა!..“ მოთქმით ერთსა და იმასვე გასძახოდა საცოდავი მარიამა და ისიც ხეკებისავით დაძრწოდა, ჩირგვებს, ხეთა ძირებს, იმათ ჩრდილებს, ტეის ღარდოებს აშტერდებოდა...

მთელ დამეს ეძებდენ. მეორე დღეს აუარებელი ხალხი მოეხვია ქედს და ასეთი უტნაური ამბით აღშფოთებულნი ეძებდნენ მთელ დღეს, მეორე დამეს, ეძებდენ... ეძებდენ, მაგრამ ამაოთ!

მესამე დღეს კი... ნახეს...

მთის ერთ ღრმა ღრანტეში, შამბნარ-ეინეჭარში, საცოდავათ ეგდო მელანოს დასახიჩრებული, გაცეებული გვამი მხეც-ადამიანს, რომელსაც მელანოს ძროხა კანგებ, წინასწარ განზრახული მიზნით ტეეში კაცემდა, გაბნეული საქონლის მაძებარი მელანო აქ, ამ ღრმა ტეეში ჩაეტეუებია, იქ მისთვის ნამუსი აეხადა, შემდეგ ის, თავისი ბოროტი მოქმედების დასამალავათ, ვერაგულათ მოეხრჩო, ამ შამბნარ-ეინეჭარში ჩაეგდო, ზედ ქვები, დიდრონი ხეები მიეყარა და ასე დასამარებია. ყველა ააშფოთა, ყველა დასტანჯა ასეთი საშიზღარი ბოროტმოქმედების გამოაშკარავებამ. ხალხმა მოწყენით მოიკარა მუხლი წამებული მელანოს წინაშე. ყველა უსაზღვრო მწუხარებას მისცემოდა, ყველა მოსთქვამდა, ყველა ჭმეთინებდა... ბეჟუკა გულის შემზარავათ ღრიალებდა... საცოდავ მარიამს კი ლოყები ფრჩხილებით დაეკაწრა, გულმკერდი საშიშრათ დაეხოკა, ამონადგელებული თვალის ქუთოთები სახარდად დასიებოდენ, ტრემლი სრულიად გაშრობოდა და შეშლილივით ერთსა და იმასვე იმეორებდა „მხეცი დაჭეკლეჯდა, მხეცი დაჭეკლეჯდაო, თითქოს ვერ წარმოედგინა ამ უბედურს, რომ ასეთი საქმის ჩადენა, ხშირად მხეც-ადამიანსაც შეუძლია...

ნ. ზომლეთელი.

საშშაკო რეცენზიები.

ქართული თეატრი.

(ხუთი დებიუტანტი).

ადგილობრივი რუსულ-ქართული გაზეთები (რა საკვირველია „ეშშარიტ-რუსლუთა გამოკლებით) კარგა ხანი ემზადებოდენ ღალატისათვის.

ამავე საქმისთვის ემზადებოდა ხუთი დებიუტანტიც!

გაზეთები ქების ფურცლებათ გადაიქცენ, დებიუტანტები ქების საგნათ!

„დროების' თქმისა არ იყოს, ჩვენ ერთი მშვენიერი თვისება გვაქვს:—„ავგულები" არა ვართ ჩვენ ქებაც გვიყვარს და ლანძღვაც. ვაქებთ იმიტომ, რომ ,,ოცნებას სინამდვილეთ ვიჩნევთ'', ვაგინებთ იმიტომ, რომ სინამდვილე ოცნებას აღარ ეთანხმება!

,,ჩვეულება სჯულთ უმტკიცესიაო'' იტყოდენ ჩვენნი ძველნი და ამ თქმულებას დღემდე სავსებით ამართლებდა ქართული თეატრიც!

სიძველე ხომ მათი სათაყვანო რამეა!

დღეს კი გაგვიცრუვდა იმედი! მოლოდინისამებრ ,,ღალატი'' ღალატით აღარ დასრულდა! უჩვეულო შემთხვევაა! ყველა თავ-თავის ალაგას სდგას, გარდა დათოსი!

ჩვენთვის ხომ მცირე რამეა საჭირო რწივის ფრთები ავისხათ და ცას დავეწიოთ?

— ეს უჩვეულო ამბავია ჩვენს ცხოვრებაში! ფიცხელის ჟესტიკულიაციით ამბობს ,,ზაკავკაზიეს'' რეცენზენტი.

— ეს სწორედ სამი ელვაა ჩვენს სცენაზე შემოჭრილი! ეს ახალი ფურცელია ქართული თეატრის ცხოვრებაში!

მრავალ-მნიშვნელოვანის ულვაშ ქვეშეთის ღიმილით ამბობს ,,მომავლის'' წარმომადგენელი.

— ამ ჟამად სიხარულის მეტი არაფერი დაგვრჩენია! ბრძნულის კილოთი აღნიშნავს ,,დროებისელი'' მოაზრე!

საერთო ზეიმია, ქართული ზეიმი!

რა მოხდა?

სრულიად ჩვეულებრივი ამბავი! მაგრამ სხვათათვის ჩვეულებრივი ჩვენთვის ხომ უჩვეულო და წარმოუდგენელია! აი თუნდა დაუფიქრდით: ახალგაზრდა კაცი, რომელიც საჯაროთ სცენაზე გამოდის, ცოტათი მაინც ხომ უნდა გრძნობდეს სცენისადმი მოწოდებას და თუნდაც ნასახს მსახიობთათვის საჭირო ნიჭისას?

ჩვენს სცენაზე კი ამ ბოლო ხანებში საქმე სხვა გვარ მიმდინარეობდა. ის კარგა ხანია უნიჭო ახალგაზრდათა საჯაროთო მოედნათ იქცა და ინტრიგების ბუდე გახდა.

დღეს სცენაზე გამოვიდენ მართლა ისეთი პირნი, რომელთაც აქვთ სურვილი და ძალ-ღონე იმისი სამსახურისა. ეს სხვათათვის ჩვეულებრივი მოვლენა ჩვენთვის უჩვეულოა და აი ამ ამბავმა აკი ეზომოთ ააღელვა ჩვენი საზოგადოება!

დიახ, დებიუტანტების უმრავლესობამ აშკარათ დაგვანახა, რომ მათ შესწევთ სცენისათვის საჭირო ნიჭი, მაგრამ...

მაგრამ ჯერ ჯერობით იმათ იმედზე ქართული სცენის მომავალის დამყარება, სულ ცოტა რომ ვთქვათ, ცაში მიმფრინავ წეროსა და ძირს უსაქმო კაცისაგან შამფურის თლას მოგვაგონებს.

სახალხო სახლი.

სახალხო სახლი საუკეთესო გასართობია ქართველი საზოგადოების „დაბალი" და საშვალო წრისათვის.

წარჩინებული წოდება ხალხში აბა როგორ გაერევა?

კარგსაც შვებიან რო არ ერევიან. მათგან „დაბალი" ხალხი სასიკეთოს ბევრს ვერას ისწავლის.

სახალხო სცენასაც, როგორც თეატრს, თავისი საკუთარი ოჯახი ყავს. ესენი სულ უბრალო მომაკვდავები, მაგრამ ხალხის საყვარელი პირნი არიან. მათში ხშირათ გამოერევიან ხოლმე „სააზნაურო" სცენის არწივები, იაგრამ აქ, ამ სახალხო სცენაზე ისინიც, სხვაფერდებიან, დაბლა დადიან თავისი მედიდური და მიუწდომელი მწვერვალიდან.

აი თუნდაც 17 ენკენისთვე. სახალხო სცენაზე „ჭირვეულ ცოლს არჯულებენ." მომრჯულებელი უკვე გამოცდილი მსახიობი კოტე მესხია, მაგრამ მოსარჯულებელი უბრალო სცენის მოყვარე ქ-ნი თამარაშვილი.

მერმე შეხედეთ რა მშვენივრათ ასრულებს ის თავისს მძიმე როლს! თქვენ გეგონებათ ეს კარგა ხნის გამოცდილი მსახიობია, სცენის პირობებთან შეჩვეული და გამოწრთობილიო.

შესცდებით!

თქვენს წინაშე სდგას შესაფერი ნიჭითა და უმთავრესათ საქმის. სიყვარულით აღფურვილი სცენის მოყვარე. წელიწადზე მეტი არ არის, რაც ის ამ საქმეს ემსახურება! მაგრამ დროს განა ამდენი მნიშვნელობა აქვს? არა მგონია!

ეს რო ასე ყოფილიყო ქ-ნი კარგარეთელი ამდენ ხანს ვარსკვლავს დაეწეოდა!

„ჭირვეული ცოლი" შშვენივრათ მორჯულდა სახალხო სახლის სცენაზე. არა მგონია ქართული თეატრში ის ასე მოერჯულებიათ! იქ ან დიდი, დიდი ხანი კი დასჭირდებოდა, ან, უფრო სიმართლე რო ვსთქვათ, მოურჯულებელი დარჩებოდა.

ღრიანკელი.

წერილები ეშმაკისადმი

სამტრედიის რაიონი. ხეტიალის საღერღელი ამეშალა და გავსწიე ახლო მახლო სოფლებისკენ. ღათიკოს მაღაზიის ახლოს გავიარე და ერთი ისეთი ღრიალი შემომესმა, რომ ერთ არშინზე შევხტი. ვიკითხე ვინ ღრიალებს ასე საზარლათ მეთქი. მითხრეს გლეხი „ავალიანიაო“ თუმცა ამ პასუხმა ვერაფერათ დამაკმაყოფილა, მაგრამ რას ვიზამდი გავსწიე ადგილობრივ სასამართლოსაკენ. ვიღაცას მოწმეთ დავესახელებიე. კარებში ვიღამაც ყურში მიჩურჩულა, ძალიან ფრთხილათ იყავი, თორემ, ჩვენი „სუდია“ ისე გაჯავრებულია რომ გვერდებს დაგიზილავსო. როგორც გავიგე მსაჯულის განრისხების მიზეზი ყოფილა სომეხ არშაკას საჩივარი. არშაკას სიზმარში უნახავს, ვითომ სასამართლოში შეურაცხყოფა მიაყენეს. ეს ცხადში გონებია და უჩივლა. გამეცინა ასეთი სისულელე და ს. ჰაგანისკენ ვიბრუნე პირი რადგან გავიგონე თითქო მამა სამსონს გამოსამშვიდებელ სადილს უმართავს თავის მრევლიო. მართლაც სასამართლოს ეზოში აუარებელი ხალხი შეკრებილიყო. უცბათ გამოჩნდა მამა სამსონი. მიირბინა და დაემხო პირქვე ხალხის წინ და შეღაღადა; „შეგცოდეთ. და შემინდეთო“. ხალხმა ულვაშებში ჩაიცინა და მამა სამსონს ზურგი უჩვენეს. კარგა ხანს იგორავა მამა სამსონმა და რაკი შეატყო არაფერი გამოდნებოდა შინისკენ მოკურცხლა.

პატარა «ჩორთიკი»

—

ს. მაღლაკი. ლატარია—ვეჩერები ისე გახშირდა მაღლაკში, რომ „უვეჩეროთ“ სიცოცხლე აღარ გვიღირს. ისეთი კვირა ღმერთმა ნუ გაგვითენოს, რომ ერთი „ვეჩერი“ მაინც არ გავმართოთ. აქაური „ვეჩერები“ ქალაქისას ბევრათ სჯობია, კარტოთმაში, ქეიფობა და ბოლოს თავის ხეთქა. პირველათ გამართულ ვეჩერზე კნ. იულოსას, დიდებულს სპა და კარტის თამაში იყო. საუბეღეროთ, მხოლოდ გათავებისას მეზურნეებთან მოუვიდათ ჩხუბი, რადგან ქანქრის მიცემაზე უარი უთხრეს. მეორე ვეჩერიც კარგი იყო, მარა ერთმა ყმაწვილმა უცაბედათ სტაქანი გასტეხა და თავის გატეხა მოუნდომეს. მესამე ვეჩერზე ამბაკომ ბოთლი თავი გაუტეხა მეედოლეს. მეოთხე ვეჩერზე რაც მოხთება შემდეგ მოგწერთ.

აქაურ მღვდელს სადილათ აღარ პატიჟობენ და ამიტომ ბავშვების მონათვლაზე ბოიკოტი გამოაცხადა.“

აქაური.

—

ს. კულაში. ამ დღეებში აქ ერთი უბედურება დატრიალდა. ამბავმ გვერდები დაუზილა ბესარიონ კიკაბიძეს. მასაჟის მიზეზი იყო ის, რომ ბესარიონმა კარტში წაგებული ფული არ მისცა ამბაკოს, არ გასულა დიდი ხანი, რომ მეორე უფრო უარესი უბედურება დაგვატყდა თავს. ღვინით შეხურებული „სმოტრიტელი“ დაფა-ზურნით ეტლს მოაქანებდა. გაუფრთხილებლობის გამო ეტლი გადაუბრუნდა და ცხვარი იღრძო. ეხლა საოპერაციოთ თფილისში მოდის. კარგი იქნება თუ ინახულებთ და მთრახით შეახურებთ.

კულაშელი.

—

დ. ხაშური. აქ გაიხსნა „ქართველთა შორის ჰორიკითხვის საზოგადოება“ წევრებათ ჯერ-ჯერობით მხოლოდ თორმეტი მანდილოსანი ჩაეწერა. საზოგადოება თუმცა ჯერ ნორჩი, მაგრამ ეხლავე გამოიჩინა „საქმიანობა“. უნდათ რამდენიმე კრება ნ. ბ—ძის თავმჯდომარეობით.

ხაშურელებმა ამ ცოტა ხანში სამი ეკლესია ააშენეს და ას ორმოცდა ათი სახლი დაანგრიეს. თუ მეოთხე ეკლესიის აშენება დაიწყეს ერთი სახლი აღარ გადარჩება დაუნგრეველი.

ახლათ გაეშმაკებული

—

ბათუმი.—ამ დღეებში აქ მოხდა სრულიად ბათუმის კარტოფნიკ მონარდეთა სიეზდი. სიეზდს დეპოს კარტოფნიკთა ჯგუფიც დასწრო. თავმჯდომარეთ წამოაყენეს ძ. გ. გასარჩევია შემდეგი კითხვები: 1) სისტემატიურათ კარტის თამაში. 2) კვირა-

ში ორხელ ქეიფი, და ქუჩაში ჩხუბი 3) მუშების გასავითარებელი ახალი საშუალება და სხვა.

სტეფან მაკარიჩი.

—

ქ. თელავი. ძმაო ეშმაკო! შენ მატყობინებ: „მანდაური ჭირ-ვარამზე მომწერე რამეო“. თანაც მწერ: „დაპუდრულ ქალებს, კოქლ ადამიანებს, გოლოვებს, კაკარდოსებს, დალაქებს არ შეეხო შენ წერილებშიო. ვეცდები რჩევა პირნათლათ შეავასრულო, მაგრამ აქ რომ ტერტერას საქმე მოუვიდა, ამაზე გაჩუმება კი არ შეიძლება. ნეტავი შენ თვალებსაც ენახა ამ «დაპუდრ«... (უკაცრავოთ, კინაღამ წამომცდა) ქალების ამბავი! მოვიდა თუ არა თელეთში ბოქაული პოლიციელებით ისეთი დღე დაიყენა, რომ სულ Боже моя-ს ძახილით მთელი ეზო არბენინა. ამის მნახველი სიხარულით ფეხზე აღარვიდექი! მე მინდოდა შენი მათრახი, მაგრამ ღმერთმა უშველოს ბოქაულს შენ აღარ გაგსარჯა. გული მწყდება, როდესაც ერთ დაუპუდრავ ქალს ვხედავ მომწყვდეულს საცოდავი მთელი დღე უარაულობს ერთ „ყარამანებიანით“ გატენილ შკაფს, ორ გძელ სკამს და ერთ „ვივესკას“, რომელზედაც მოზრდილი ასოებით აწერია „თელავის სამკითხველო“. ხალხი იმდენი დადის, რომ ჰაერი არა ყოფნის და ჰაერის გასაწმენდათ იატაკის ფიცარი აუყრიათ, საიდანაც ამოდის წმინდა ჰაერი!

კოტე.



წერილები რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! მ. დოდიძე მეოხნმეობს სამედიტორო სასამართლოზე. („მათრახ-სალ.-“ მე 14 № ში) ჩემის მხრიო უროებ მთ მედიტორეებს—გაბრიელს და კოდას—რაც შეეხება რადაც „ტერაფეებს“ რომელიც ბ-ნ მედიტორს გადუკრავს, მე ბრინციპია ლურად წინააღმდეგი ვარ ამ გვარი „ტერაფეებისა“ და არც ვეთანხმები. ალ. სამტეუს სამართლე გხადეს ჩვენ შორის „დამკარიმებული“ სიმეალებათ.

კასიო.

—

ბ-ნო რედაქტორო! ნება მოშეცით თქვენი პატივცემული ჟურნალის „მათრახი და სალამური“-ს საშუალებით სამედიტორო სამართალში გამოვიწვიო ბ-ნი „დარიბი“ ჩემს შესახებ ცილის წამებისთვის. მედიტორეებთ ვირჩევ ბაგრატ დოდიძეს და სოლომონ მენაბდეს. ვადას ვაძლევ ერთ კვირას დღიდან ამ წერილი დებისაგამოცხა დასასხელოს თავისი მედიტორეები.

ალექსანდრე ენუქიძე.

—

ბ-ნო რედაქტორო! სამედიტორო სამართალში ვიწვევ „ახალთ გუშმაკებულს“ მან გამდანძა თქვენს ჟურნალში, თითქო მე დამთვრალიეო. მედიტორეებთ ვასახელებ გ. დო—საძეს და ი. ჭიბ—შვილს ვადას ვაძლევ რვა დღეს დღიდან ამ წერილის გამოცხადებისა დასასხელოს მედიტორეები.

იოსებ თედორაშვილი.

—

ბ-ნო რედაქტორო! მე გამოვიწვევ ბ-ნი კასიო სამედიტორო სამართალში, „მათრახ—სალ-ურის“ მეხუთე ნომერში მოთავსებული ცილის წამებისთვის. კასიომ დანიშნა თავის მსრიო ბ-ნი კოდა, მე კი არსენ წითლიძე და გრიგოლ გუგუნავა. ამთაგან რომელიც სურდეს ის აირჩიოს, მაგრამ მეც ჩემის მხრიო კასიოზე კოდაის ნაცვლად აირჩიოს ისეთი ვინმე, რომელიც ასე თუ ისე იცნობდეს ჩვენს მოწინააღმდეგეს. ეს გამოწვეულია იმ სამართლიანი მოსაზრებით, რომ ბ-ნ კოდაის არც პირადათ და არც მწერლობით მე სრულიად არ ვიცნობ.

ამბაკო მაღულარია.

—

ბ-ნო რედაქტორო! „მათრახ-სალამურის“ № 13 მოთავსებულია ჩაქვიდან მცირე კორესპონდენტია, რომლის ავტორი ბ-ნი დარიბი უმართლოდ ეხება ჩემს ანგარიშებს. ჭეშმარიტების გამოსარკვევათ—ვიწვევ ბ-ნ დარიბს სამედიტორო სამართალში. ჩემის მხრით ვასახელებ ლ. გ—ვას და გამ—დის. იქნდა ერთი კვირის ვადაში ბ. დარიბი თავის მედიტორეებსაც დასახელებს.

გიორგი ცომაია.

—

ბ-ნო რედაქტორო! „მათრახის და სალამურის“ № 11-ში მოთავსებულია გურიიდან ვინმე „ეტეს“ წერილი, სადაც ის ეხება ჯვარის მამასახლისს. რამდენიმე პირის დასმარებით ისევ იქ დაარჩინესო, და სხვათა შორის მოხსენებულია ეჩენიკი „ჩუტუ“. მოკითხავ გასმარტებას, თუ ვინ უკვეს ეს სახეში „ჩუტუ“ ეჩენიკად. თუ ამ სახელწოდებით ის მე მნოლავს, იმ შემთხვევაში ვიწვევ ეს სამედიტორო სამართალში დასამტკიცებლათ ამისა—თუ როგორ შეეძლო მე უბრალო მოწაფეს მთავრობის მამასახლისის პროტექტორათ კახლობა. მედიტორეებათ ჩემის მხრით ვასახელებ პირეს თოთიბაძეს და დომენტი არონიშიძეს.

შუტუ საბაშვილი.